საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2579 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „Novo Nordisk A/S -ს“ შორის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ გასაფორმებელ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „Novo Nordisk A/S-ს“ შორის „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამით (2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებები) გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით განხორციელებული ელექტრონული ტენდერების შედეგად გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები:

ა) „შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლის და უფროსი ასაკის პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტი – საშუალო/ხანგრძლივი მოქმედების ინსულინი: ინსულატარდი® ფლაკონი 100 ს.ე. 10 მლ – 175 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ფლაკონი; სწრაფი/ხანმოკლე მოქმედების ინსულინი: აქტრაპიდი® ფლაკონი 100 ს.ე. 10 მლ – 125 000 (ას ოცდახუთი ათასი) ფლაკონი; CPV კოდი - 33600000 (ელექტრონული ტენდერი - SPA180008885);

ბ) „შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტი:

ბ.ა) საშუალო/ხანგრძლივი მოქმედების ინსულინი: ინსულატარდი® პენფილი® 100 ს.ე. 3 მლ – 3 165 (სამი ათას ას სამოცდახუთი) კარტრიჯი; სწრაფი/ხანმოკლე მოქმედების ინსულინი: აქტრაპიდი®პენფილი® 100 ს.ე. 3 მლ – 12 240 (თორმეტი ათას ორას ორმოცი) კარტრიჯი. CPV კოდი – 33600000 (ელექტრონული ტენდერი - SPA180008880);

ბ.ბ) ხანგრძლივი მოქმედების ინსულინის ანალოგი: ლევემირი პენფილი 100 სე/მლ 3 მლ საინექციო ხსნარი კარტრიჯი - 9 420 (ცხრა ათას ოთხას ოცი) კარტრიჯი. CPV კოდი - 33600000 (ელექტრონული ტენდერი – SPA180008874);

ბ.გ) ხანმოკლე მოქმედების ინსულინის ანალოგი: ნოვორაპიდი პენფილი 100 სე/მლ 3 მლ საინექციო ხსნარი კარტრიჯი - 17 190 (ჩვიდმეტი ათას ას ოთხმოცდაათი) კარტრიჯი. CPV კოდი - 33600000 (ელექტრონული ტენდერი - SPA180008871).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის ფარგლებში გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებებში ისეთი სახის ცვლილებების/დაზუსტებების შეტანა, რომლებიც არ უკავშირდება ხელშეკრულების მოშლის პირობების ან ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართლად უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს

საკითხებს, არ საჭიროებს დამატებით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას.

3. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**